საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №588
2014 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ფ.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე,**ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დებულება თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

1. ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების, მე-9 მუხლის „რ-ღ“ ქვეპუნქტების და მე-11 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები, მე-9 მუხლის „რ-ღ“ ქვეპუნქტები და მე-11 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან..

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მიგრაციის დეპარტამენტის კომპეტენცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიგრაციის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონები, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტები, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები, დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებები, წინამდებარე დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №95 - ვებგვერდი, 21.08.2018წ.

მუხლი 3. დეპარტამენტის საქმიანობის პრინციპები

დეპარტამენტის საქმიანობა ემყარება კანონიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, პირის პატივისა და ღირსების, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპების დაცვას.

მუხლი 4. დეპარტამენტის ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის სფერო

1. დეპარტამენტი თანამშრომლობს სამინისტროს სისტემის შესაბამის დანაყოფებთან, საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, გადამყვან სატრანსპორტო კომპანიებთან, უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა/ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1^1. დეპარტამენტი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში.

2. დეპარტამენტი უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უწყებებიდან თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხზე, ასევე განახორციელოს ინფორმაციის გაცვლა უცხო ქვეყნის სახელმწიფო უწყებებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №95 - ვებგვერდი, 21.08.2018წ.

მუხლი 4^1. დეპარტამენტის ბეჭედი და ბლანკი

დეპარტამენტს აქვს ბეჭედი და ბლანკი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საკუთარი სახელწოდებისა და მისამართის აღნიშვნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება №815 - ვებგვერდი, 23.10.2014 წ.

თავი II
დეპარტამენტის საქმიანობის სფერო და ამოცანები

მუხლი 5. დეპარტამენტის საქმიანობა და ამოცანები

დეპარტამენტის საქმიანობის სფერო და ძირითადი ამოცანებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, უკანონო მიგრაციასთან ბრძოლა, მისი პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

ბ) საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა იდენტიფიცირება;

$ბ^1$) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, უცხოელთა საქართველოდან გაძევების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

$ბ^2$) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოდან გაძევების მიზნით, უცხოელის დაკავება და დროებითი განთავსების ცენტრში/დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანა/ესკორტირება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, გადამყვან სატრანსპორტო კომპანიებთან, უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა/ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან, ასევე საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია;

დ) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებების განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

$დ^1$) საერთაშორისო დაცვის უფლების განხორციელება;

$დ^2$) საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან ან საერთაშორისო დაცვის შეწყვეტასთან/გაუქმებასთან/ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

$დ^3$) საქართველოში მყოფ თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა დამუშავება და აღნიშნულ მონაცემთა ბაზის მართვა;

დ) თავშესაფრის პროცედურის ანალიზი, მათ შორის, საქართველოში თავშესაფრის პროცედურის ჯეროვანი აღსრულების კონტროლი და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება;

$დ^5$) (ამოღებულია - 01.05.2019, №38);

ე) კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი;

$ე^1$) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოში მყოფ უცხოელთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა;

ზ) მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრებში მყოფი უცხოელების უფლებების რეალიზაციის მონიტორინგი;
თ) მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრების მართვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

$ზ^1$) დეპარტამენტის მოსამსახურეების, მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრებში მოთავსებული პირების უსაფრთხოებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების, მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრების შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება;

$ზ^2$) დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი უცხოელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევა 24 საათის განმავლობაში, მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

$ზ^3$) მიმღებ და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული უცხოელის ვირუსული ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსისა და ტუბერკულოზის, აგრეთვე ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციებით გათვალისწინებული გადამდები დაავადებების პრევენციის მიზნით, შესაბამისი სამედიცინო შემოწმების ჩატარება გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში;

$თ^1$) საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლისთვის, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ განყოფილებაში (ცენტრში) საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, ასევე მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტა და განსაზღვრულ ვადაში მიმღები ცენტრის ნებაყოფლობით დატოვებაზე უარის შემთხვევაში, პროპორციული ძალის გამოყენებით გასახლება, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

$ი^1$) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით უცხოეთში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების უზრუნველყოფა;

კ) კომპეტენციის ფარგლებში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 24 ივნისის ბრძანება №337 - ვებგვერდი, 27.06.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 13.03.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №95 - ვებგვერდი, 21.08.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 მაისის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 01.05.2019წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 23 ივნისის ბრძანება №90 - ვებგვერდი, 24.06.2020წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №177 - ვებგვერდი, 22.12.2020წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 2 მარტის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 05.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №44 - ვებგვერდი, 04.08.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 04.09.2024წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 5 მარტის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 05.03.2025წ.

თავი III
დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

მუხლი 6. დეპარტამენტის დირექტორი

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).
2. დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას, აწესრიგებს დეპარტამენტის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს ან უფლებას ანიჭებს შესაბამის პირს დეპარტამენტის წარმომადგენლობაზე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

გ) მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს;

დ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესრულებისთვის იმ სფეროში, რომელიც განეკუთვნება დეპარტამენტის კომპეტენციას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას სამინისტროს სისტემის სხვა დანაყოფებთან;

ზ) ამზადებს წინადადებებს სამინისტროს ოპერატიულ თათბირზე განხილვისათვის;

თ) განიხილავს და ამტკიცებს დაქვემდებარებული დანაყოფების სამუშაო გეგმებს;

ი) კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

კ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოფს დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის სამობილიზაციო მზადყოფნას;

ლ) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. დირექტორის მოადგილე/მოადგილეები

1. დირექტორს ჰყავს ერთი ან რამდენიმე მოადგილე.
2. დირექტორის მოადგილე ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ერთიან სისტემაში შემავალ საკურატორო სტრუქტურულ ერთეულებს.

3. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მისივე დავალებით, მოადგილე ასრულებს დირექტორის მოვალეობას.

თავი IV
დეპარტამენტის სტრუქტურა

მუხლი 8. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები
დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო;

ბ) საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველო;

გ) ადმინისტრაცია (სამსახური);

დ) დროებითი განთავსების სამმართველო;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის სამსახური.

მუხლი 9. უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო
უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო:
ა) განიხილავს გაძევების, გაძევებაზე უარის თქმის ან გაძევების გადავადების საკითხს და ამზადებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს;

ა[1]) კომპეტენციის ფარგლებში, უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის, მისი პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ახორციელებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;

ა[2]) ახორციელებს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა იდენტიფიცირებას;

ა[3]) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, უცხოელთა საქართველოდან გაძევების უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

ა[4]) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოდან გაძევების მიზნით, აკავებს უცხოელს;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო უწყებებიდან გამოითხოვს გაძევებასთან და რეადმისიის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

გ) საინფორმაციო ბაზებში მოიპოვებს ინფორმაციას გაძევებას დაქვემდებარებული პირის შესახებ და ამოწმებს შესაბამის მტკიცებულებათა უტყუარობას;

დ) საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი დანაყოფის მეშვეობით ახდენს ინფორმაციის გადამოწმებას შესაბამის დაწესებულება(ებ)ში ან პირის საცხოვრებელ ადგილზე;

ე) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელისათვის ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის საკითხს;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან, უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა იურიდიულ პირებთან;

ზ) მართავს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა იდენტიფიცირების ელექტრონულ სისტემას;

თ) უზრუნველყოფს გაძევების პროცედურებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმართავს შესაბამის უწყებას უცხოელისათვის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების და გაუქმების თაობაზე;

კ) სახელმწიფო უწყებებთან ერთად მონაწილეობს სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში;

ლ) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

მ) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე მონაწილეობს საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით უცხოეთში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების ღონისძიებაში;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 5 მარტის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 05.03.2025წ.

მუხლი 10. საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველო

1. საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) სტატუსის დადგენის განყოფილება;

ბ) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება.

2. საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველო:

ა) ახორციელებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიღება-რეგისტრაციას, თავშესაფრის მაძიებლის ცნობის გაცემასა და თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს;

ბ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის, ასევე ანკეტირებისა და წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს გასაუბრების მომზადებასა და ჩატარებას სტატუსის დადგენის მიზნით;

გ) მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს საერთაშორისო დაცვის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის მქონე პირისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის თაობაზე შესაბამისი დასკვნის მომზადებას;

დ) ახორციელებს შესაბამის პროცედურებს ჰუმანიტარული სტატუსის გახანგრძლივების ან ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელებაზე უარის თქმის თაობაზე და ამზადებს შესაბამის დასკვნას;

ე) ახორციელებს თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და ანალიზს, ასევე ამ ინფორმაციის პერიოდულ განახლებასა და მონაცემთა ბაზის წარმოებას;

ვ) ახორციელებს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას;

ზ) „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში განთავსების ან ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტის/გასახლების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას;

თ) კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას უწევს თავშესაფრის მაძიებლებსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებაში;

ი) მონაწილეობს საერთაშორისო დაცვის სფეროში საკანონმდებლო ბაზის ანალიზსა და მისი სრულყოფის თაობაზე წინადადებების მომზადებასა და შემუშავებში;

კ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა სახელმწიფო უწყებებიდან შემოსული ნორმატიული აქტების, სამოქმედო გეგმების, ხელშეკრულებების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების,

შენიშვნების, ანგარიშებისა და წინადადებების მომზადებას;

ლ) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე მონაწილეობს საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით უცხოეთში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების ღონისძიებაში;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 11. ადმინისტრაცია (სამსახური)

1. ადმინისტრაციის (სამსახური) შემადგენლობაშია:

ა) საორგანიზაციო და მატერიალურ-ტექნიკური განყოფილება;

ბ) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება;

გ) სამედიცინო მომსახურების განყოფილება.

2. ადმინისტრაცია (სამსახური):

ა) კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ) ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დეპარტამენტის წარმომადგენლობას სასამართლოში;

დ) სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სამართლებრივი აქტების პროექტებს, მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ახორციელებს სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზას და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს დეპარტამენტის საკადრო საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივ კონსულტაციას უწევს უცხო ქვეყნის მოქალაქეს და აწვდის ინფორმაციას ქვეყანაში საიმიგრაციო წესების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს ცხელი ხაზის ფუნქციონირებას;

თ) აკონტროლებს და ორგანიზებას უწევს დეპარტამენტის საქმისწარმოებას;

ი) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტის შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებებით მომარაგებას, ასევე დეპარტამენტის შენობა-ნაგებობების მოვლა პატრონობას და ავტოპარკის გამართულ ფუნქციონირებას;

კ) აღრიცხავს და აანალიზებს დეპარტამენტის მიერ გამოყენებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს;

ლ) აორგანიზებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა შრომით ანაზღაურებასთან, აგრეთვე, სადაზღვევო, სატელეფონო და სხვა მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

მ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დეპარტამენტის მოსამსახურეთა ტრანსპორტირებას;

ნ) უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებისა და ფსიქოლოგიურ დახმარების გაწევას დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული უცხოელებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მყოფ პირთათვის;

ო) აკონტროლებს დროებითი განთავსების ცენტრსა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების არსებობას და მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს;

პ) უზრუნველყოფს მიმღებ და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული უცხოელის ვირუსული ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსისა და ტუბერკულოზის, აგრეთვე ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციებით გათვალისწინებული გადამდები დაავადებების პრევენციის მიზნით, შესაბამისი სამედიცინო შემოწმების ჩატარებას;

ჟ) აწარმოებს სტატისტიკას გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ;

რ) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე მონაწილეობს საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით უცხოეთში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების ღონისძიებაში;

ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. დროებითი განთავსების სამმართველო

1. დროებითი განთავსების სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) დროებითი განთავსების ცენტრი (განყოფილება);

ბ) თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი (განყოფილება).

2. დროებითი განთავსების სამმართველო:

ა) მართავს დროებითი განთავსებისა ცენტრს და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრს და უზრუნველყოფს მათ გამართულ ფუნქციონირებას;

ბ) უზრუნველყოფს დროებითი განთავსების ცენტრისა და მიმღები ცენტრის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას;

გ) ახორციელებს რეაგირებას დროებითი განთავსების ცენტრსა და მიმღები ცენტრში წესრიგის დარღვევაზე, ქონების დაზიანებასა და განადგურებაზე, ასევე ცენტრის უნებართვოდ დატოვების, უფლებამოსილი პირისგან მიმალვის, გაქცევის ან ასეთი ქმედების მცდელობის შემთხვევებზე;

დ) ახორციელებს მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრების ვიდეოკამერებით გადაღებულ მასალაზე რეალურ დროში დაკვირვებას იქ მყოფ პირთა უსაფრთხოებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით;

ე) ახორციელებს უცხოელის მიღებასთან, გადაცემასთან, გადაყვანასთან, გათავისუფლებასა და გამგზავრებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

ე[1]) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოდან გაძევების მიზნით, ახორციელებს უცხოელის დაკავებას და დროებითი განთავსების ცენტრში/დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანას/ესკორტირებას, ასევე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;

ვ) უზრუნველყოფს დროებითი განთავსებისა და მიმღებ ცენტრებში მყოფ პირთა მიერ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზების ხელშეწყობას;

ზ) იღებს დროებითი განთავსებისა და მიმღებ ცენტრებში მყოფ პირთა საჩივრებს, თხოვნებს, განცხადებებს და შემდგომი რეაგირებისათვის გადასცემს შესაბამის დანაყოფს;

თ) საჭიროების შემთხვევაში, მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მიმღებ ცენტრში თავშესაფრის მაძიებლისთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფას და მის განთავსებას, ასევე, მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტის და გასახლების თაობაზე გადაწყვეტილების ინიცირებას, მათ შორის, განსაზღვრულ ვადაში მიმღები ცენტრის ნებაყოფლობით დატოვებაზე უარის

შემთხვევაში, პროპორციული ძალის გამოყენებით მის გასახლებას;

ი) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე მონაწილეობს საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით უცხოეთში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების ღონისძიებაში;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №67 - ვებგვერდი, 04.09.2024წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 5 მარტის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 05.03.2025წ.

მუხლი 13. ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის სამსახური
ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის სამსახური:
ა) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, დამუშავებასა და ანალიზს;

ბ) მიგრაციის სფეროში არსებული მონაცემების საფუძველზე ამზადებს უკანონო მიგრაციის თაობაზე გამოკვეთილი ტენდენციების შესახებ ანალიტიკურ დოკუმენტს;

გ) სახელმწიფო უწყებებთან ერთად მონაწილეობს სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში;

დ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმიანობის, მათ შორის დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტების ხარისხის შეფასებას, ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას;

ე) უზრუნველყოფს თავშესაფრის პროცედურაში ჩართული უფლებამოსილი პირების კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე, სახელმძღვანელოების, სასწავლო მოდულებისა და საკონტროლო კითხვარების შექმნას;

ვ) უზრუნველყოფს თავშესაფრის საკითხებზე საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას და ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზს, ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს არსებული თავშესაფრის სისტემის გაუმჯობესების მიზნით; ახდენს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე შემუშავებულ დოკუმენტებზე სამართლებრივი დასკვნებისა და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებას;

ზ) ახორციელებს მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრებში მყოფ და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგს. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ამზადებს დასკვნას და წარუდგენს დეპარტამენტის დირექტორს;

თ) დეპარტამენტის მოსამსახურის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში განიხილავს შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტ(ებ)ს, ამზადებს დისციპლინური გადაცდომის ამსახველ დასკვნას და დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტის დირექტორს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აგრეთვე უზრუნველყოფს სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის ან/და სხვა კომპეტენტური ორგანოს ინფორმირებას;

ი) ახორციელებს დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების, მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრებში მყოფი უცხოელების უსაფრთხოებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით;

კ) განიხილავს დეპარტამენტის მოსამსახურეთა დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებულ საჩივრებსა და განცხადებებს, ასევე, მიმღები ან დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი ან მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას ან/და საჩივარს მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;

ლ) ახორციელებს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგს;

მ) უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე მონაწილეობს საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით უცხოეთში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების ღონისძიებაში;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.